№2562 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა და დაცვის ობიექტთა ნუსხების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №427 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა და დაცვის ობიექტთა ნუსხების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №427 განკარგულებით დამტკიცებულ „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაცვის ობიექტთა ნუსხაში“ (დანართი №2) შეტანილ იქნეს ცვლილება და „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საქართველოს საპატრიარქო, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი და საქართველოს საპატრიარქოს ბობოყვათის რეზიდენცია;“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**